ცნობა არქივის ბრიტანეთ ეროვნ

287 1 134

დასკანირებულია
1601 წ

287 1 134

(ლიტერატურული საქართველო 4.11.1969, გ.III
№ 10

დისპუტი თბილისის უნივ

ცისკარი — 68

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრამ ღია საჯარო სხდომაზე განიხილა ჟურნალ „ცისკრის“ 1968 წლის ნომრები.

დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, უახლესი ლიტერატურის კათედრის გამგემ ს ე რ გ ი ჭ ი ლ ა ძ ემ.

— შემოქმედებითად „ცისკარი“ და უნივერსიტეტის კოლექტივი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, — თქვა მან, — ეს გარემოება გვიკარნახებს არა მარტო თვალუური ვადევნოთ ჟურნალის მუშაობას, როგორც მკითხველებმა, არამედ ვმონაწილეობდეთ მის შემოქმედებითს ცხოვრებაში. არის კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამო ჩვენ დიდად ღინტერესებული ვართ ჟურნალის მუშაობით; როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კათედრა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას შეისწავლის, მაგრამ შეისწავლის არა როგორც მეარქივე-მომთხრობელი თანამედროვე მწერლობისა, არამედ თვითეე მონაწილეობს ამ თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების პროცესში.

ყველაფერი ეს კათედრას ავალებს იყოს არა მარტო მაყურებელი და მკითხველი ჟურნალ „ცისკრისა“, არამედ მისი მეგობარი და ამ კოლექტივის მუშაობის უშუალო მონაწილე. აი სწორედ ეს უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი დისკუსიის დროს.

შარშანდელ ნომრებში დაბეჭდილი ლექსები მიმოიხილა კრიტიკოსმა რ ე ვ ა ზ მ ი ქ ვ ე ლ ა ძ ემ.

• ჩვენი პოეზიის საშუალო თაობის წარმომადგენელთა და თვით ე. წ. „ცისკრელთა“ თაობის გვერდით, — თქვა მან, — ჟურნალში ერთი წლის მანძილზე დაიბეჭდა რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის და დებიუტანტი ლიტერატორის პოეტური სტრიქონები. შეიძლება ითქვას, რომ ამდენი ახალი სახელი „ცისკრის“ ფურცლებზე ერთად არც ერთ წელს არ გამოჩენილა. ხაზს ვუსვამთ „ცისკრის“ რედაქციაში შექმნილ გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროს, ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის სწორ სტილს.

ქართული ახალგაზრდული პოეზიის უახლეს ნაკადში არის რამდენიმე გვარი, რომელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საკუთარი ხმისა და სათქმელის თანმიმდევრული გამოკვეთით უკვე საიმედოდ დაადგნენ ჭეშმარიტი პოეზიის მაგისტრალურ გზას.

რა თქმა უნდა, მისასალმებელია „ცისკარში“ ერთი წლის განმავლობაში დამწყებ პოეტთა დამკვრელური გამოჩენა, მაგრამ მათი რაოდენობის ექსტენსიური ზრდა ხშირ შემთხვევაში არც თუ სახარბიელო შედეგს იძლევა. და აი რატომ:

გულწრფელი და უშუალო რამდენიმე ლექსის გვერდით გვხვდება ხაოცრად ნიველირებული წყება აზრთა და გრძნობათა, მოსაწყენად ერთნაირი განწყობილება, გამაღიზიანებლად ერთფეროვანი ლექსიკა, სათხურში გამოყუანილივით უფერული კონგლომერატი მხატვრული სახეებისა, რომელთაც ძალიან ცოტა კავშირი აქვთ იმ უძირითადესსა და უმთავრესთან, რაც უნდა ასაზრდოებდეს ყოველი ჩვენთაგანის პოეტურ ფორმირებას, — ესაა ქართული სინამდვილე ჩვენი უბადლო ხალხური პოეზია, ქართული კლასიკური ლექსის გრანიტისებური კანონიკურობა.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პრობაულ ნაწარმოებებზე მოხსენებით გამოვიდა თ ე ი მ უ რ ა ზ მ ა ღ ლ ა ფ ა რ ი ძ ე.

როგორც მოსალოდნელი იყო, — აღნიშნა მან, — შარშანდელი „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებები ერთნაირ მხატვრულ დონეზე არ დგას. ავტორების ნაწილი სუსტი ნაწარმოებებით გამოჩნდა ჟურნალში. მეორეთა ნაწარმოებნი, მართალია, არ ბღალავენ მკითხველის გემოვნებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავტორებს დაფნის გვირგვინები მაინც ვერ მოუხვეჭეს; და ბოლოს, არიან ავტორები, რომელთა ნაწარმოებებმა გაგვახარეს და გვაფიქრებინეს, რომ ქართული ახალგაზრდული პროზა საიმედო გზაზე დგას. „ახალგაზრდულიო“ — ვამბობთ, რადგან „ცისკრის“ მთელი პროზა, მცირე გამონაკლისს გარდა, სწორედ ახალგაზრდა ლიტერატორებს ეკუთვნით.

იმ ავტორებს, რომელთა ნაწარმოებებიც გამოირჩევიან იდეურ-მხატვრული სრულყოფილებით, დავასახელებთ გ. რჩეულიშვილს, რ. ინანიშვილს, გ. ფანჯიკიძეს, ჯ. ქარჩხაძის, მ. ჭოთავას, ვ. სიხარულიძის, გ. დოჩანაშვილს, ა. ვასაძის და ზოგიერთი სხვა ავტორის მოთხრობებს. როცა ვამბობთ, იდეურ-მხატვრული სრულყოფილებით, ცხადია, არ ვგულისხმობთ, რომ ამ მოთხრობებში არაფერი იყოს საკამათო. საკამათო არის და ხშირად მნიშვნელოვანიც. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხსენებული ავტორები კარგად ფლობენ სიტყვას, აქვთ ცოტად თუ ბევრად მინიშნელოვანი სათქმელი და მოვლენებისა და ადამიანებისადმი საკუთარი მიმართება.

„ბევრი ბავშვი ერთად ანუ დღე შუადღის შემდეგ, მთელი ღამე და დილა“ ძალზე საინტერესო კინომოთხრობაა ბავშვებზე, სიმართლით და ფაქიზი ლირიზმით გამთბარ ამ კინომოთხრობის წაკითხვამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, თუ რა ძალა დაჰკარგა ქართულმა ლიტერატურამ გურამ რჩეულიშვილის სახით.

შარშანდელი წელი რევაზ ინანიშვილისათვის ბარაქიანი გამოდგა. ციკლს, რომელიც მან ჟურნალის ორ ნომერში გამოაქვეყნა, „სალამო ხანის ჩანაწერები“ ჰქვია. ეტყობა, რ. ინანიშვილმა მიაღწია სახოვრელი სიმწიფის იმ მიჯნას, როცა იციან რას აკეთებენ და როგორ აკეთებენ...

ცალკე განხილვას მოითხოვს ოთარ ჩხეიძის თავისებური და საინტერესო რომანი „აღმართ-დაღმართი“. ხსენებული რომანი და საერთოდ ო. ჩხეიძის შემოქმედება უთუოდ უნდა იქცეს ფართო მსჯელობის საგნად...

„ჭაშნიკში“ ჟურნალმა სამ ავტორს დაუთმო ადგილი. მათში სახიამოვნოდ გამოირჩევა „ლეგატო, ლეგატო“ ნ. ბატიაშვილისა, რომელმაც გაგვახარა დახვეწილი პროფესიონალიზმით

გ. გელაშვილის მოთხრობა „ჩემი თბილისი“ მწერლის წარმატებად მიგვაჩნია. ამას ვერ ვიტყვით ლ. მრელაშვილზე, რომლის „თავგადასავალი სამი დამიხ“ ავტორისათვის ჩვეულო უხვი ფერებით არის შესრულებული, მაგრამ „ყაბახის“ შემდეგ წინ გადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება. იგივე ითქმის დ. ჯავახიშვილზე. მშვენიერი მოთხრობების — „ზღვისა“ და „კეთილი იმედის კონცხის“ დამწერისაგან უფლება გვაქვს მეტი მოვითხოვოთ.

გასული წლის „ცისკარში“ პროზა ორმოცამდე ავტორით არის წარმოდგენილი. ჟანრობრივადაც საკმაო მრავალფეროვნება გვაქვს: რომანი, მოთხრობა, ნოველა, ესკიზი, კინომოთხრობა... ამ მხრივ ჟურნალის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

„ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, რეცენზიები და ლიტერატურათმცოდნეობისადმი მიძღვნილი მასალები მიმოიხილა პროფესორმა პ ა პ ა ძ ი თ ო ფ უ რ ი ა მ.

შარშან კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის სფეროდან ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 80-ზე მეტი სტატია, რეცენზია, შენიშვნა თუ გამოკვლევა, — აღნიშნა მომხსენებელმა. — წერილების უმეტესი ნაწილი უშუალოდ ეხმიანება ჩვენი ლიტერატურის განვითარების სადღეისო მტკივნეულ საკითხებს, ახალგაზრდული პოეზიის მოკალაქეობრივი ღელვარადობის გაძლიერების თუ კლასიკური მემკვიდრეობის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა - შეფასების, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის თუ სინამდვილის მხატვრული გამოსახვის აქტუალურ პრობლემებს.

ჟურნალმა „ცისკარმა“ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში თავიდანვე შემოიტანა სიახლით გატაცების, ლიტერატურული სტანდარტების უკუგდების, ერთგვარი ლიტერატურული „გამოცოცხლებისა“ და „გაბანალების“ ტენდენციები.

ჟურნალ „ცისკრის“ გასული წლის მუშაობის გამოცდილებიდან ყველაზე საგულისხმოა ცოცხალი კრიტიკული აზრების შემუშავება ახალ გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებზე, ამასთან უეჭველად იგრძნობა, რომ ჟურნალი პირველ რიგში დაინტერესებულია ახალგაზრდა პოეტებისა და მწერლების პირველი წიგნების. მათი პირველი შემოქმედებითი ნიმუშების ერთგვარი „საზოგადოებრივი აპრობაციით“. ამის მკაფიო მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ გ. გვერდწითელის სტატია „ვინ არის ლევან ხიდაშელი“, რომელშიც განხილულია ამავე ჟურნალში დაბეჭდილი ორ ცალკე წიგნად გამოსული ახალგაზრდა მწერლის გურამ ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ცა“, რ. მიშველაძის „ჰა, მიიწურა ზამთარი“, — საინტერესო და თავისებური სტილის მწერლის თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების რომანზე, ა.ა. ბაქრაძის პრემიერებული სტატია „სანავარდო ანუ უნაყოფობის ტრაგედია“, რომელშიც გამოჩენილი მწერლის დემნა შენგელაიას რომანი „სანავარდო“ სრულიად ახლებური ასპექტითაა განხილული და სხვ.

მაგრამ ამ მიმართულებით ჟურნალის რედაქციას შემდგომში წინასწარ მოფიქრებული გეგმაური მუშაობა მართებს. ზოგჯერ მაინც უყურადღებოდ რჩება ლიტერატურულ სარბიელზე მთელი რიგი ნიჭიერი საიმედო მემოქმედებითი ძალების გამოჩენა.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ენობრივ საკითხებზე ილაპარაკა პროფესორმა ი ვ ა ნ ე ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ა მ.

„ცისკრის“ ენა ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან დაიხვეწა და ეკსპრესიული გახდა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — აქ ქართულმა სიტყვამ შეიძინა უფრო მეტი გამომსახველობითი ძალა და სიძლიერე. ამას ხელი შეუწყო ჟურნალში ჩვენი საუკეთესო მწერლების სისტემატურმა მონაწილეობამ, რედაქციის თავდადებულმა ბრძოლამ ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ცისკარი“ ახალგაზრდობის ჟურნალია, აქ ბევრი ახალბედა მწერალი იღებს ნათლობას და, ცხადია, ავტორთა ერთ ნაწილს აკლია სამწერლო გამოცდილება, ენისა და სტილის ნიუანსების ცოდნა. ზოგი შეცდომა გამოცდილ მწერლებსაც მოსდით და ამიტომ ჟურნალში აქა-იქ ვხვდებით სხვადასხვა სახის უსწორო ფორმებს, ზოგჯერ აშკარა შეცდომებს. ჩვენ აქ სხვადასხვა ნაკლსა და ხარვეზებზე შევჩერდებით, რადგან ამათი გამოსწორება უფრო საშურია, ვიდრე მაამებელი პანეგირიკების წერა.

ე-სა და ა-ზე დაბოლოებული სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში უნდა იკვეცებოდნენ, მაგრამ ჟურნალში ზოგჯერ ამ წესს არღვევენ და არ კვეცენ: მაგ., მ ე უ რ მ ე ს თ ვ ი ს, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს, მ ე ო ხ ე - ქ ვ ი ლ ს ი ს რ ჩ ე ვ ი თ, მ შ ო ბ ი ა რ ე ს ა თ ვ ი ს, ხ ა ბ ა პ უ რ ი ძ ე თ ი და სხვ.

ზმნებში უველაზე უფრო პირის ნიშნების მართლწერაში ვხვდებით დამახინჯებებს: პრეფიქსებს იქ წერენ, სადაც არაა საჭირო (მჭუხს, სწუხს, ჩანს, სდუმს...) და არ წერენ იქ, სადაც იგი აუცილებელია (გავს, ყავს, დაბირდა, აყოლოდნენ).

ა ვ ი ა ნ დ ა ა ბ ი ა ნ ზ მ ნ ე ბ ს თემის ნიშნები უნდა გადაჯაჭვეს I თურმეობითში. ასეთ ზმნებს ია დაბოლოება არ უნდათ, მაგრამ დარღვევები აქაც გვაქვს: დ ა უ ლ ე ჭ ი ა (დაულეჭავს); შ ე უ ფ ი რ ი ა, წ ა მ ი კ ი თ ხ ი ა, (წამიკითხავს), დ ა მ ი ნ ა ხ ი ა, შ ე უ ხ ე დ ნ ი ა, გ ა გ ი ბ ე დ ი ა.

II თურმეობითში აკლებენ ინ სუფიქსისეულ ნ-ს და მცდარ ფორმებს

თვრამეტი წლისაა

მოსავალს ვერ პოულობდა. მთისა და კარვის გაგონება არ უნდოდა. სალომეს შეეშინდა, იმ ერთი შემთხვევის გამო მარინას სამუდამოდ არ დაეკარგა მთა, იმ ერთი ადამიანის გამო არ დაევიწყა ძმადნაფიცი ბათირა; სალომეს შეეშინდა, რომ მარინა აღარასოდეს აღარ დაწერს ნარკვევს „ტრავერსი დაგვიმტკიცებს, გურამ...“. და მარინაც და სალომეც იმ უჩვეულო ძალას აღარ იგრძნობდნენ...

* * *

— შენ ძალიან კარგი ხარ, სალომე, და მე მინდა, რომ ასეთი დარჩე. ეს ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი. შენ თავისუფლად შეგეძლო წასულიყავი თუშეთში, როცა თოთხმეტი წლისა იყავი, იმიტომ რომ პატარა იყავი, შენს ირგვლივაც ყველანი პატარები იყვნენ და ლამაზები. თუ ბათირა პატარა არ იყო და მაინც ლამაზი ადამიანი იყო, ეს იმიტომ, რომ თქვენ იყავით ლამაზები და დიდ კაცს შეეშინდა საკუთარი სიმახინჯის, ამოიპოტნა იგი საკუთარი თავიდან და როგორც კი შეეძლო, მოისროლა. ბათირა თქვენ გაალამაზეთ, ახლა კი თქვენ თვრამეტი წლისანი ხართ, თქვენს სილამაზეს აღარავინ დაუჯერებს. თქვენზე იტყვიან, რომ მატყუარები ხართ, რომ თავს იტყუებთ და მათი მოტყუებაც გსურთ, გადათელავენ თქვენს სიმწვანეს და თმით დაგკიდებენ ყველაზე მაღალ ხეზე, რათა შეგაჯავრონ სიმაღლე. შენ ვეღარ გაუძლებ ამას, ვეღარ გაუძლებ და დახატავ ნაცრისფერ სურათს — ადამიანს უთმოდ, ამომშრალი თვალებით, პატარა მხრებით და უმწეოდ ჩამოშვებული ხელებით, და შენ დაარწმუნებ შენს ირგვლივ მყოფთ, რომ ეს არის ყველაზე ლამაზი ადამიანი...

— მე ახლა წავალ ერთ მხატვართან, რომელიც ორმოც წელს მიახლოვებია და რომელმაც დახატა იების გამყიდველი ბიჭი და მოთამაშე ფერადი ბავშვები. მე მას მუხლებში ჩავუვარდები და ვთხოვ, რომ მაჩუქოს ყველაზე ვარდისფერი ნახატი. მერე წავიღებ იმ ნახატს შინ და სასთუმალთან ჩამოვკიდებ.

— შენ ჯერ პატარა ხარ, შენ ჯერ ისიც არ იცი, რომ სხვა თუ არაფერი, მოგწყინდება მთელი ცხოვრება, ყოველ დილას და ყოველ საღამოს ერთი და იგივე ვარდისფერ ნახატზე ლოცვა; შენ მოგინდება მოძრაობა, შენ მოგინდება ცვლილება, იმდენად მოგინდება, რომ დაუფიქრებლად ჩამოხსნი კედლიდან ნახატს, რომელსაც შეეჩვიე, და ძალიან ბედნიერად ჩასთვლი თავს, და არც გაგახსენდება, რომ ამის წარმოდგენაც კი შენთვის ოდესღაც უდიდესი უბედურება იქნებოდა...

სალომე გაიღიზიანა კახას უცნაურმა სიბერემ და მოჩვენებითი სიმშვიდით დაიწყო:

— იცი, კახა, შენ არასოდეს ყოფილხარ დიდი გემის კაპიტანი, რადგან წვიმისა და ქარიშხლის დროს კაიუტაში ჯდომა გიყვარდა. ზოლო როცა ჩვენ ზურგჩანთამოკიდებულები დართლოსა და შენაქოში დავეხეტებოდით, შენ ყაზბეგიდან თბილისში ახალჩამოსულ ბიჭს დახვირნოდი, რადგან ზომაზე მოკლე შარვალი ეცვა და ტანსაცმელზე ცხვრის სუნი ასდიოდა. და ეთით წუთით არ გიფიქრია, რომ არ უნდა გეცინა, რადგან არ იყო არაფერი სასაცილო, რადგან სულ მალე ბიჭი მილიმეტრობით გამოზომილ შარვალს ჩაიცვამდა, თავის თეთრ ფარას დაივიწყებდა და ახალტის სუნს შეეჩვეოდა.

შენ კი შესძელი გაცინება, ეს შენთვის ადვილი იყო, რადგან არ იცოდი, რომ ასფალტის გარდა არსებობს მიწა, — ნამდვილი, ყავისფერი მიწა, რომელსაც „მაძღარი სუნი“ აქვს. შენ თანდათან შეეჩვიე სიცილს და როცა ადამიანებმა დაინახეს, რომ შენ თითქმის ყველაფერზე შეგეძლო გონებამახვილურად გეხუმრა, ჭკვიანი დაგარქვეს.

კახამ უცბად იგრძნო, რომ სალომესთან გაჩერება შეუძლებელი იყო იმ წუთში, მაგრამ მისგან წასვლაც შეუძლებელი იყო, და პატარა ბავშვივით მოუნდა ტირილი. მაგრამ როცა შეამჩნია, რომ თვალები ცრემლებით მართლა აევსო, შებრუნდა და წავიდა. მეორე დღეს არ დაურეკავს კახას. არც მესამე დღეს.

* * *

დიდი ხანია მარტოს არ უვლია სალომეს. მაგრამ დღეს საშინლად მოუნდა ქვედა ვერის ჭუჩაზე გავლა. ადგა, თბილად ჩაიცვა და გავიდა. კახაზე ფიქრი არ უნდოდა, — გაიფიქრებდა თუ არა რამეს, გუნება უფუჭდებოდა, თავისი თავი სჯავრდებოდა. გოგოების ნახვა არ უნდოდა. მერე უცბად აიჩემა: შინ რომ მივალ, ჯერ მრგვლოვანით დავწერ ერთ გვერდს, მერე ბერძნულს ვისწავლი... მე როცა ბერძნული მაქვს, კახას ლექცია არა აქვს. მაგრამ კახა მაინც არ მოვა და არ მთხოვს, გააცდინეო. ნეტავ სად წავა? ფეხბურთს ითამაშებს, ფეხბურთის თამაში უყვარს. ანდა ბიჭებს ნახავს, დანატრებულები არიან ერთმანეთს. სასაცილო ამბები არასოდეს ელევა, მოუყვება ბიჭებს და მოკლავს სიცილით, კარგი მოყოლა იცის. ნეტავ იქნება ამის ხასიათზე?! შეიძლება შინ დარჩეს და გიტარაზე დაუკრას, და ძალიან თავისთვის იმღეროს, თვალდახუჭულმა. არა, ასეთი სენტიმენტალური არასოდეს ყოფილა. მე მგონი ფეხბურთს ითამაშებს.

სალომეს უცბად საშინლად მოეწონა, რომ კახა ხვალ გიტარაზე კი არ დაუკრავს, არამედ ფეხბურთს ითამაშებს, მერე უფრო მოეწონა, მერე უფრო...

შინ დედა დახვდა სალომეს.

— სად იყავი?

— ჭუჩაში ვიარე ცოტა ხანი.

— მარტომ?

— მარტომ!

— ერთნაირად აფრენთ შენ და შენი კახა! დარეკა და კარი რომ გავაღე, ეს მოთქოდა. ალბათ შენთვის.

დედას იასამნისფერი ერთი ცალი უკვდავა ეჭირა ხელში.

მანანა ხელაია

ქეთევან მაღალაშვილი მანანა ხიდაშელი

რეჟისორისა მსახიობთა გამეორ

ამ როლიდან თვის წინ გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნამდვილი ზეიმი იყო. თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ჩვენი დიდი მწერლის დავით კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“.

სპექტაკლი დადგა ნიჭიერმა რეჟისორმა ლილი იოსელიანმა. მან ერთხელ კიდევ გაახარა ქართველი მაყურებელი და თავისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

რეჟისორისა და მხატვრის (რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი შ. ხუცისშვილი) ერთობლივ ნამუშევარს თავიდანვე კლდიაშვილის გმირების სამყაროში გადავყვართ. სცენაზე ფარდის მაგიერ ჩამოშვებული ხალიჩა და თოფ-იარაღი უკვე მიგვანიშნებს პიესის კოლორიტზე, ხოლო შემდეგ, როცა სცენაზე სინათლე ინთება და ხალიჩა მალლა აიწევს, უკანა პლანზე მორანს პირდაპირებული შეიერი სასიმინდეები. ისმის ხალხური სიმღერა „შორი გზიდან სატრფოს ველი“, რომელიც შემდგომში ლეიტმოტივად გასდევს „დარისპანის გასაჭირს“. ასე რომ რეჟისორული ჩანაფიქრი, სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა და მუსიკალური გაფორმება მაყურებელს ხელს უწყობს, თავიდანვე დაამყაროს კონტაქტი პიესის გმირებთან, მოქმედების დაწყების პირველი წუთიდანვე თავი იგრძნოს პიესის გმირების სამყაროში.

მთელი სპექტაკლის მსვლელობაში იგრძნობა გამოცდილი, ნიჭიერი რეჟისორის ხელი. თუ შეიძლება ასე ითქვას, მას ქალური გულმოდგინებით, სიფაქიზით და სინატიფით აქვს დამუშავებული ყოველი ნიუანსი, ყოველი დეტალი (ამიტომაც იყო სამწუხარო, რომ ტელევიზიით სპექტაკლის ნაწყვეტის გადაცემის დროს ბევრი ნიუანსი და რეჟისორული ჩანაფიქრი დაიკარგა).

რეჟისორის დიდ შემოქმედებითს შესაძლებლობებზე მეტყველებს სიმდერასა და ცეკვაში კაროულნა და ნატა მივიჩნიოთ კაროლნას რ
რი, უფრო სწორად —
გახსნა. სპექტაკლში კ
და გამოთაყვანებული ქ
დია (რატომღაც ბზირა
ხოლმე მის ხახეს);
მორცხვისა და დაბნე
ზები რეჟისორმა და
სავალალო, დამამცირე
რეობაში დაინახეს.

გორის თეატრს ამჟამ
ერი მსახიობი ჰყავს. ეს
ნობოდა ორივე პიესაშ
ტობით ასრულებს მარ
როლს რესპუბლიკის დ
არტისტი ნ. ზალდასტან
რებელთა ერთსულოვან
მოიწვია ე. მოციქულაშ
გიამ. რესპუბლიკის დ
არტისტმა ვ. კახნიაშვ
შტრიხებით გახსნა დარ
სახე. უდავოდ ქების
აბესალოს („ირინეს ბედ
ლის შემსრულებელი რ
მსახიობული არტისტი
ლი, სამხონის როლის შ
ო. დათუნაშვილი და ს
ჰყავს ნიჭიერი ახალგაზ
ბიც, მათ შორის უნდ
მარადიშვილი (ოსიკო),
ტალია) და სხვ.

სპექტაკლის მშვენება
ფარიძე. დაუვიწყარია
მიუხედავად იმისა, რ
ტექსტი ბევრი არაფერი
გამოსვლისთანავე იპყრ
ლის უურადღებას; ისე
ნიუანსებითა და შტრ
რებს კაროულნას სახეს,
ვე განგაცდევინებთ გ
ტრაგედიას, რაც ცრემლ
იწვევს მაყურებელში.
სახის გამომეტყველება,
სტები სინქრონულ კავშ
ნი გმირების ყოველ ფ
ტომაცაა, რომ მიუხედა
მასალის სიმცირისა, იგ
ტაკლის განმავლობაში
თითქმის ყოველთვის პ